

საინფორმაციო ფურცელი

აღნიშნული საინფორმაციო ხასიათის ფურცელი წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური ურთიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.

საინფორმაციო ფურცლის გაცნობა და მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და შესაბამისად, მოთხოვნებს მხარეთა შორის.

მზღვეველის დასახელება	სს „გრინ დაზღვევა საქართველო“
დაზღვევის ხელშეკრულების სახე	ავტომფლობელთა მესამე მხარისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევა
დაზღვეულის რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები	დაზღვეულის მიერ დაზღვევის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო პოლისში მითითებული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონებისათვის მიყენებული ზიანი.
პრემიის, გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი	არ ითვალისწინებს
ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები	არ ითვალისწინებს
სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეტყობინების გაგზავნის ფორმა	დაუყოვნებლივ შეატყობინოს ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შესახებ საპატრულო პოლიციას და ასევე მზღვეველს პოლისში მითითებულ ცხელი ხაზის ნომერზე - (995 32) 2 24 -44 -54 და მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია: დამზღვევის სახელი და გვარი, დაზღვეული ავტომობილის სახელმწიფო ნომერი, შემთხვევის მოკლე აღწერა და ადგილმდებარეობა.
სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები	დაუყოვნებლივ მიაწოდოს მზღვეველს სრული ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დეტალების შესახებ, ხოლო ამ შემთხვევის დადგომიდან 3 დღის ვადაში გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება და მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში შესაბამისი საპატრულო პოლიციის ოქმი; მხარეთა მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება. სადაზღვევო შემთხვევის ასანაღაურებლად დამზღვევემა უნდა წარუდგინოს მზღვეველს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. წერილობითი შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ - შემთხვევიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა; 2 უფლებამოსილი მძღოლის (რომელიც მართავდა ავტომობილს სადაზღვევო შემთხვევის დროს) მართვის მოწმობა;

<p>სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები</p>	<ol style="list-style-type: none"> 3. ცნობა საპატრულო პოლიციიდან შემთხვევის შესახებ, შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით; 4. მოსარგებლის (დაზარალებულის ან მისი მემკვიდრის) პრეტენზიის წაყენების დამადასტურებელი დოკუმენტი; 5 უფლებამოსილი პირის სიფხიზლის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი; 6 დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში - სამედიცინო ცნობა ფორმა NIV-100/ა; 7. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ფორმა N106/ს -4 და სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში. 8. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მესამე პირთა მიმართ მიყენებული ზიანის ოდენობას; 9. შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, რომელიც ადასტურებენ დაზარალებულის ან მისი მემკვიდრისათვის სახელმწიფო/საყოველთაო/სავალდებულო დაზღვევის შესახებ ამ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ასანადაურებელი ნებისმიერი კონპენსაციის/ანაზღაურების ოდენობას; 10. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომელშიც ფიქსირდება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა, იმ შემთხვევაში თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით, ხოლო თუ მხარეთა მორიგება მოხდა შეთანხმებით, ასეთი შეთანხმების ამსახველი დოკუმენტი; 11. დაზღვეულის ან მოსარგებლის საბანკო რეკვიზიტები; 12. კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის თავისებურებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მზღვეველი იტოვებს უფლებას, დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებით დოკუმენტაცია/ ინფორმაცია.
<p>დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. დამზღვევის მიერ განზრახ ან მისი დაუდევრობით გამოწვეული ზიანი; 2. ზიანი მიყენებული შემდეგი გარემოებების არსებობისას: <ol style="list-style-type: none"> 2.1 როდესაც ავტომობილს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი; 2.2. როდესაც ავტომობილი იმყოფებოდა სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორიულ ფარგლებს გარეთ; 2.3. როდესაც ავტომობილს მართავდნენ ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ; 2.4. როდესაც ავტომობილს იყენებდნენ ავტომობილის დაზღვევის განაცხად-ანკეტაში მითითებული მიზნებისაგან განსხვავებული დანიშნულებით; 2.5. როდესაც დაზღვეული ავტომობილი მართვისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში იმყოფებოდა;

დაზღვევის
პირობების
ჩამონათვალი

გამონაკლისი,
სრულყოფილი

3. ზიანი, რომელიც მიეყენა მესამე პირთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და/ან ქონებას ავტომობილის აეროპორტის ან აეროდრომის ტერიტორიაზე მართვისას.
4. ზიანი, რომელიც მიეყენა მესამე პირთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და/ან ქონებას ავტომობილის პროფესიონალურ ან ორგანიზებულ რბოლაში, ისევე როგორც საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობისას, ან მათთვის მომზადებისას;
5. ზიანი, გამოწვეული სახელმწიფო ორგანოების მიერ დაზღვეულის დაპატიმრების ან მისი ქონების კონფისკაციის მცდელობისას;
6. ზიანი გამოწვეული ფორს-მაჟორის შედეგად: ომი (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, რევოლუცია, ხანძარი, წყალდიდობა და სხვა ნებისმიერ არაკონტროლირებადი მოვლენა;
7. ზიანი მიყენებული შემდეგი მიზეზით (მიუხედავად იმისა კონტროლირებადია თუ არა) ბირთვული იარაღის აფეთქება (თუნდაც შემთხვევითი), ბირთვული რეაქცია, რადიაცია ან რადიოაქტიური დაბინძურება.
8. გამონაკლისს მოცემული სახის დაფარვისათვის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს:
 - ა) პირს, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტში მართავდა დაზღვეულ ავტომობილს, ან
 - ბ) დაზღვეული პირის (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრს (დაზღვეულ ავტომობილში ჩასხდომისა და გადმოსვლის პერიოდის ჩათვლით);
 - გ) დაზღვეული პირის სამსახურეობრივ დაქვემდებარებაში არსებულ პირ(ებ)ს.
9. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი, ასევე, პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოშობილია ნებისმიერი სხვა კონტრაქტის ან შეთანხმების საფუძველზე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებისა.
10. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიზიდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით.
11. ანაზღაურების გამონაკლისს წარმოადგენს ასევე ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით თანახმად, მზღვეველს უფლებას ანიჭებს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე.
12. ანაზღაურების იმ მოცულობაზე, რომელიც უნდა ყოფილიყო გაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში მიუხედავად იმისა, შეძენილია ზემოხსენებული დაზღვევა თუ არა.